



MES 5 20 0000985637



13/10/2020

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 29.09.2020

სხდომის დაწყების დრო: 16:10 სთ

სხდომის დასრულების დრო: 19:05 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული (II, III, IV საკითხი)

სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა (I საკითხი)

საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- 1. ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
- 2. დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- 3. ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;

4. მანანა კველიშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. ნინო დობორჯგინიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
7. პაატა ბრეკაშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
8. გიორგი თურქია - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
9. ნიკოლოზ კიკნაძე - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
10. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
11. ზურაბ გვიშიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
12. რომეო გალდავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
13. ირმაწერეთელი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
14. ეკა ევალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

| N | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---------------------|---|
| 1 | სოფიკო ქურასხედიანი | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი |
| 2 | თამთა ანთიძე | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი |
| 3 | ლალი ოდიშვილი | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი |
| 4 | ქეთევან ინანიშვილი | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი |

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

| N | სახელი, გვარი | საგანმანათლებლო დაწესებულების და სახელეუბა | სტატუსი | საკითხი |
|----|------------------|--|---|---------|
| 1. | გიორგი შარვაშიძე | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის | სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი | I |

| | | | | |
|-----|--------------------|--|--|---|
| | | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | | |
| 2. | ირმა გრძელიძე | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | თსუ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | I |
| 3. | მანანა მელიქიშვილი | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | თსუ, ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | I |
| 4. | ქეთევან ჭკუასელი | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი | I |
| 5. | ივა მინდაძე | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი | I |
| 6. | ზაქარია ქიტიაშვილი | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი | I |
| 7. | თეა კორძაძე | აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | I |
| 8. | იმერი ბასილაძე | აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი | I |
| 9. | მამული ბუჭუხიშვილი | აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი | I |
| 10. | ვლადიმერ ადეიშვილი | აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | I |
| 11. | ლელა თურმანიძე | სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის | ბსუ, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი | I |

| | | | | |
|-----|-------------------------|--|---|-----|
| | | სახელმწიფო უნივერსიტეტი | | |
| 12. | ლელა თავდგირიძე | სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ბსუ, პროფესორი | I |
| 13. | ნინო მოდებაძე | სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი | თესაუ, პროფესორი | I |
| 14. | ნინო ნახუცრიშვილი | სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი | თესაუ, პროფესორი | I |
| 15. | დავით მახაშვილი | სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი | განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი | I |
| 16. | დავით ჩერქეზიშვილი | შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი | რექტორი | II |
| 17. | შალვა მაჭავარიანი | | ვიცე რექტორი, ციფრული მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი | II |
| 18. | ვასილ კიკუტაძე | | ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი, ციფრული მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი | II |
| 19. | ქეთევან აფთარაშვილი | | განათლების დეპარტამენტის უფროსი | II |
| 20. | დავით სიხარულიძე | | სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი | II |
| 21. | დავით ბოსტოლანაშვილი | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | II |
| 22. | კახაბერ თავზარაშვილი | შპს საქართველოს უნივერსიტეტი | მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორი | III |
| 23. | ირაკლი ნოსელიძე | | პროგრამის ხელმძღვანელი | III |
| 24. | არჩილ ჯანგირაშვილი | | აკრედიტაციის განყოფილების უფროსი | III |

| | | | | |
|-----|----------------|------------------------------------|---|-----|
| 25. | სოსო გოგილიძე | | პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში | III |
| 26. | ნინო მილაშვილი | სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო | უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსი | IV |
| 27. | ლევან მაკარაძე | უნივერსიტეტი | პროგრამის ხელმძღვანელი | IV |
| | | | | |

აკრედიტაციის ექსპერტები

| N | სახელი, გვარი | ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ | საკითხი |
|----|--------------------|--|---------|
| 1 | გოდერძი ბუჩაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 2 | ნიკოლოზ ფარჯანაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 3 | მერაბ ხოხობაია | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 4 | დავით ქარცივაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 5 | ანა ხეცურიანი | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 6 | ვალერიან გობრონიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | III |
| 7 | გივი გავარდაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | III |
| 8 | გიორგი მეშველიანი | (ჩაერთო „ზუმით“) | III |
| 9 | შალვა კვიციანი | (ჩაერთო „ზუმით“) | III |
| 10 | ლევან ციციშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | IV |

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ - ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ციფრული მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ "ვეტერინარიის" ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
1. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ციფრული მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|--|--|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი ს ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი სა დ ო ქ ტ ო რ ო ს ა გ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ლ ო პ რ ო გ რ ა მ ა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | ს ს ი პ - ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს თ ბ ი ლ ი ს ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი; |

| | | |
|----|--|--|
| | | სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. |
| 3 | სტატუსი | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მერვე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | განათლების მეცნიერებების დოქტორი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0111- განათლების მეცნიერებები |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 40 (სასწავლო კომპონენტი) |
| 14 | განხორციელების ადგილი | თსუ - ჭავჭავაძის გამზ. #11ბ, ქ.თბილისი, III კორპუსი, 0179, საქართველო; თსუ - ჭავჭავაძის გამზ. #11ბ, ქ.თბილისი, III კორპუსი, 0179, საქართველო; აწსუ - ქუთაისი, თამარ მეფის ქ, #59, 4600, საქართველო; ბსუ - ბათუმი, ნინოშვილის ქ. #35, 6010, საქართველო; თესაუ - თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ.#1, 2200, საქართველო. |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - ირაკლი ბურდულმა, მანანა კველიშვილმა, ეკა ეკალაძემ და ირმა წერეთელმა;

საფუძველი - დაწესებულებასთან შრომითი ხელშეკრულების არსებობა.

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ - დიმიტრი გეგენავამ.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გოდერძო ბუჩაშვილმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 21 და 24 აგვისტოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ვიზიტისთვის აღნიშნული ორი უნივერსიტეტი შეირჩა, რადგან ერთი იყო უშუალოდ წარმდგენი უნივერსიტეტი, ხოლო მეორე კი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფაზე გახლდათ პასუხისმგებელი. დანარჩენი უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან შეხვედრა განხორციელდა როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გარდა ამისა, დაწესებულებების წარმომადგენლებთან გასაუბრებები დისტანციურადაც განხორციელდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აქამდე არ ჰქონია ოთხი უნივერსიტეტის ერთობლივი პროგრამის შეფასების პრაქტიკა და განაცხადა, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე კარგი გამოცდილება, რომელიც აჩვენებს ქართული უნივერსიტეტების ერთმანეთთან

თანამშრომლობის ტენდენციის დასაწყისს. ექსპერტმა აღნიშნა, თუ როგორ კოორდინირებულად ახორციელებდნენ თანამშრომლობას ოთხივე საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, რაც ასევე აღნიშნულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილ დასკვნაში.

ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

1. განათლების ადმინისტრირების სასწავლო კურსის არსებობა დაეხმარებოდა სტუდენტს, გაეფართოებინა საკუთარი თვალსაწიერი და უკეთ დაეგეგმა როგორც სწავლის, ასევე კვლევის პროცესი, რაც შესაძლებელია არჩევითი საგნების ბლოკშიც იყოს განხილული;
2. აუცილებელია განისაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები და საკანონმდებლო მოთხოვნები. ასევე, უნდა განისაზღვროს ქართულ ენაში მინიმალური ენობრივი კომპეტენცია;
3. აუცილებელია, პრაქტიკული კვლევის სასწავლო კურსს წინაპირობად განესაზღვროს კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების სასწავლო კურსი. აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ ეს უბრალოდ ტექნიკური ხარვეზი იყო და ვიზიტის დროსაც აღნიშნა ეს საკითხი;
4. აუცილებელია, პედაგოგიკის თეორიის სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობის გაზრდა ან გარკვეული საკითხებისათვის ცალკე სასწავლო კურსის შემუშავება, რომ სტუდენტმა მოახერხოს აუცილებელი ინფორმაციის ეფექტურად დამუშავება. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევდა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციასთან მიმართებით შესაძლებელი იყო კრედიტების მოცულობის გაზრდა დამოუკიდებელი სამუშაოს კუთხით, რადგან ის საკითხები ძალიან მრავალფეროვანი და სიღრმისეულია, რომელიც სტუდენტმა უნდა აითვისოს და ამ მიზნით საგანს უფრო მეტი მოცულობის კრედიტები დაეთმოს ან პროგრამას ჰქონდეს წინაპირობა.
5. პროგრამის სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომობა უნდა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის განხორციელების მისამართზე ან ელექტრონული ბიბლიოთეკის მეშვეობით.

ექსპერტმა მადლობა გადაუხადა დაწესებულებების წარმომადგენლებს წინგადადგმული ნაბიჯისთვის. გამოთქვა სურვილი, რომ კერძო უნივერსიტეტებმაც განახორციელონ მსგავსი სახის თანამშრომლობა, რადგან რესურსების გაზიარება საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია, აღნიშნულის შედეგადაც მოხდება სხვადასხვა უნივერსიტეტების ხარისხის სამსახურის საქმიანობის პრაქტიკის ურთიერთგაზიარება, რაც კიდევ უფრო განავითარებს ხარისხის კულტურას უმაღლესი განათლების სისტემაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, გიორგი შარვაშიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ მათთვის დიდი პატივია წარმოადგინონ აღნიშნული პროექტი, რომელიც აერთიანებს ბევრ უნივერსიტეტს და კარგი ტენდენციის დასაწყისია ქართული უმაღლესი განათლების სისტემაში. რექტორმა ასევე განმარტა, რომ პროგრამა არის უნიკალური და მის განხორციელებაში ჩართულნი იყვნენ, როგორც ადგილობრივი ასევე, საერთაშორისო ექსპერტები. დაწესებულებები ეცადნენ მაქსიმალურად დაეფარათ ყველა მხარე: ახალი ევროპა, ძველი ევროპა, ანგლოსაქსურიმოდელი და ყველა სხვა მოდელი. ისინი მუშაობდნენ ბოლონის უნივერსიტეტთან, მასარიკის უნივერსიტეტთან, არკანზასის უნივერსიტეტთან და ეს იყო ერთობლივი პროდუქტი, რომელიც ამჟამად არის წარმოდგენილი. გიორგი შარვაშიძემ ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხდება ქართულ უნივერსიტეტებს შორის კოოპერაცია

და სინერგია. მან ასევე განმარტა, რომ კვლავ აპირებენ გააგრძელონ თანამშრომლობა მსგავსი მიმართულებით, რომელიც იქნება მედიისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კუთხით.

ექსპერტთა რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულებების პოზიცია წარმოადგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ირმა გრძელიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ პროგრამის შექმნაში მონაწილეობდა რამდენიმე უნივერსიტეტი. მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, რომლებმაც დიდი შრომა ჩადეს აღნიშნული პროგრამის მასალების გაცნობაში (მარტივი წარმოსადგენი, რომ იყოს როდესაც ერთი უნივერსიტეტი ქმნის პროგრამას მასალების რა რაოდენობაა და ამ შემთხვევაში ფაქტობრივად, ერთად წარმოადგინეს 4 ინსტიტუციის რეგულაციები, რომლებიც ერთი კონკრეტული პროგრამის განხორციელებას ემსახურება). პროგრამის შექმნა 2019 წლის მარტში დაიწყო, რის შემდეგაც განხორციელდა ძალიან ბევრი შეხვედრა, როგორც ქართველი, ასევე საერთაშორისო ექსპერტების ჩართვით და მიიღეს აღნიშნული პროდუქტი. ასევე, აღნიშნა, რომ ამ პროცესში მათ ეხმარებოდა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და ჰქონდათ რეგულარული შეხვედრები, რადგან ერთობლივი სადოქტორო პროგრამის პრაქტიკა საქართველოს არ აქვს, გარდა ამისა აქტიურად თანამშრომლობდნენ EMIS-თანაც.

ირმა გრძელიძემ ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის მმართველი საბჭოს წევრები არიან ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორები, ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართულია მასარიკის უნივერსიტეტი თსუ-სთან ერთად, ყველა უნივერსიტეტს აქვს გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები და ვალდებულებები, ასევე გაერთიანებულია ყველა უნივერსიტეტის რესურსი, როგორც აკადემიური, ასევე მატერიალური მოემსახურება იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ჩაირიცხებიან აღნიშნულ პროგრამაზე. ამავდროულად მიიღეს ცნობა, რომ განათლების მეცნიერებების პროგრამის სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა მაგდებურგის უნივერსიტეტში გაიარონ კურსები, რომელიც მათ მისცემს საშუალებას გარდა დიპლომისა მიიღონ სერტიფიკატი მაგდებურგის უნივერსიტეტიდან, რომელიც დაადასტურებს აღნიშნული უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის გავლას. აღნიშნული საკითხი თვითშეფასებაში ასახული არ არის, რადგან უნივერსიტეტიდან ელოდებოდნენ პასუხს მოცემულ საკითხზე.

რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულებების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი ნაწილი უკვე გაიზიარეს და რადგან 4 ინსტიტუციაა წარდგენილი, არგუმენტირებულ პოზიციაში ვერ მოახერხეს ყველა იმ ცვლილების ასახვა, რომელიც განახორციელეს, თუმცა ისეთი რეკომენდაციები, რომელიც ეხებოდა წინაპირობის ნაწილს, ლიტერატურას, უცხოენოვანი სტუდენტებისთვის ქართული ენის მითითებას - ეს უკვე ასახულია და გატანილია ფაკულტეტის საბჭოებზე, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში, აკადემიური საბჭოზე.

დაწესებულებების წარმომადგენლებმა, ორ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დააფიქსირეს თავიანთი მოსაზრება, კერძოდ, პროგრამის ფილოსოფია მდგომარეობს იმაში, რომ სასწავლო კომპონენტის დიდი ნაწილი (15 კრედიტი) ეთმობა კვლევის კომპონენტს, აქედან ორ სასწავლო კურსს (10 კრედიტს) კითხულობენ ქართველი ექსპერტები, ხოლო ერთს, რომელიც კვლევის პრაქტიკულ კომპონენტს მოიცავს წარუძღვება არკანზასის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც ყველა სტუდენტისთვის ზაფხულის ან ზამთრის სკოლების განმავლობაში წაიკითხავს სავალდებულო კურსს. რაც შეეხება სასწავლო კომპონენტის დანარჩენ კურსებს, რომელიც ჯამში მოიცავს 40 კრედიტს, მათ შორისაა პროფესორის ასისტენტობა და ორი ფუნდამენტური კურსი. რაც შეეხება შეთავაზებას განათლების ადმინისტრირების კურსის დამატებას ან კრედიტების გაზრდას პედაგოგიკასთან მიმართებით, მიაჩნიათ, რომ აღნიშნული

მოაქციონ 5 კრედიტიანი არჩევითი კურსის ფარგლებში, რადგან მათ ასე ჩამოაყალიბეს პროგრამა და მათი უცხოელი ექსპერტები აღნიშნულ მოდელს ეთანხმებოდნენ, რომლის მიხედვითაც ძირითადი სასწავლო კურსი იქნება ის კურსები რაც პროგრამით არის წარმოდგენილი და არჩევით 5 კრედიტის ფარგლებში, ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის სტუდენტს ექნება შესაძლებლობა მისთვის და მისი კვლევის მიმართულებისთვის შესაბამისი კურსი გაიაროს. დაწესებულებების პასუხი ამ საკითხთან დაკავშირებით არის ის, რომ თუ სტუდენტს სჭირდება გაღრმავებული კურსი პედაგოგიკაში ან განათლების ადმინისტრირების კუთხით, აღნიშნული აუცილებლად ექნება შეთავაზებული არჩევითი კურსის ფარგლებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირება მარტივი არ იქნება, მაგრამ მიუხედავად ამისა მათ შეძლეს შეექმნათ ერთობლივი პროგრამა და ფაქტობრივად მოახერხეს უცხოელ კოლეგებთან ერთად ერთ ენაზე საუბარი, რაც ნამდვილად აძლევთ იმის გარანტიას, რომ პროგრამა იქნება წარმატებული და ერთ-ერთი სანიმუშო მაგალითი თუ როგორ უნდა ხორციელდებოდეს სადოქტორო განათლება საქართველოში, რადგან ყველა თანხმდება იმ ფაქტზე, რომ აკადემიური პერსონალი არის დეფიციტში და ეს პროგრამა მისცემს დოქტორანტებს საშუალებას გაიზიარონ, როგორც აკადემიური, ასევე მატერიალური რესურსი ყველა იმ ინსტიტუციისგან, რომლებიც ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელებაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მათ ნაკლები მოლოდინი ჰქონდათ უცხოელი კოლეგების ჩართულობასთან დაკავშირებით, ქართველი კოლეგებისგან განსხვავებით, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საერთაშორისო ექსპერტები წელიწადნახევრის განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის შემუშავებაში და ნამდვილად დაანახეს ექსპერტებს ის თუ როგორ ელოდებიან ქართველი დოქტორანტების ხელმძღვანელობას.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უცხოელი პროფესორების პირდაპირი ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში საკმაოდ მნიშვნელოვანია, რითაც განსხვავდება მოცემული პროგრამა სხვა პროგრამებისგან, რადგან რიგ შემთხვევებში მათი ჩართულობა პასიური როლით შემოიფარგლება.

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და პროგრამის მმართველი საბჭოს წევრი მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ ამ ოთხი უნივერსიტეტის შეკრება შემთხვევითი და ალოგიკური არ ყოფილა, რადგან ამ უნივერსიტეტების პედაგოგიკის დარგის წარმომადგენლები ერთი დიდი ოჯახის წევრებივით არიან და წლების განმავლობაში მუდმივად ახორციელებდნენ შეხვედრებს, ასევე არიან დარგობრივი საბჭოს წევრები, მუშაობენ ერთად საკანონმდებლო ინიციატივებზე/ცვლილებებზე, სკოლამდელი, ზოგადი, საშუალო და საუნივერსიტეტო საფეხურის საკითხებზე, წლების განმავლობაში თანამშრომლობენ და აღნიშნული პროგრამის შექმნა არის მათი მსხვილი აკადემიური პროდუქტი.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ქეთევან ჭკუასელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის შექმნა დიდი გამოწვევა იყო და მადლობა გადაუხადა ოთხივე უნივერსიტეტის ადმინისტრაციას იმ მზაობისთვის როგორი მონდომებითაც და ინიციატივებითაც მონაწილეობდნენ პროგრამის შექმნაში. ასევე აღნიშნა, რომ პროცესის განხორციელებას დიდი დრო დასჭირდა, თუმცა განხორციელების პროცესში შესაძლოა გამოიკვეთოს გარკვეული ხარვეზები/საჭიროებები, თუმცა ამისთვის ყველანი მზად არიან და გაგებით ეკიდებიან აღნიშნულ საკითხს. მთავარია, რომ პროცესი დაიწყო და იმედი აქვთ, რომ სირთულეებს თავს გაართმევენ. რაც შეეხება პროგრამის კონცეფციის შექმნას, არ იყო ადვილი

ფილოსოფიის შექმნა, რადგან დოქტორანტებს ვერ დატვირთავენ საკონტაქტო საათებით და შესაბამისად, მოკლე საკონტაქტო საათებში უნდა განხორციელდეს ყველაფერი. პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება ძალიან ფართო სფეროა და დღეს კიდევ უფრო ფართოა, რადგან არის სკოლამდელი პედაგოგიკა, საშუალო სკოლის პედაგოგიკა, უმაღლესი, პროფესიული, ცხადია ერთი 5 კრედიტიანი სილაბუსი ამ ყველაფერს ვერ მოიცავს, რომელზეც ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს, რომ 5 კრედიტიან დისციპლინისთვის საკმაოდ დიდი მასალაა, თუმცა კრედიტების ეს რაოდენობა და საკითხთა ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს მთელ პედაგოგიკას და ყველა რგოლის პედაგოგიკა ცხადია 5 კრედიტში ვერ ამოიწურებოდა, თუმცა ეს არის საორიენტაციო სილაბუსი, რათა ცხადი იყოს მეცნიერების ლოგიკური კავშირები და ძირითადი ცნებები, შემდეგ კი არჩევითი კრედიტების ფარგლებში თითოეულ დოქტორანტს ექნება შესაძლებლობა გაიღრმავოს ცოდნა იმ მიმართულებას რაც მას სურს, მათ შორის ადმინისტრირების კუთხით, უმაღლესი დაწესებულების პედაგოგიკის მიმართულებით, საშუალო სკოლის პედაგოგიკაში და ა.შ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ჭკუასელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, რადგან არ იყო ადვილი ოთხი ინსტიტუციის ადამიანური რესურსის მოსმენა და აღნიშნული პროცესის განვითარების დანახვა, თუმცა იყო აბსოლუტური თანამშრომლობა, ეს არ იყო ექსპერტთა შეფასება, იყო აზრთა გაცვლა/გამოცვლა და სიახლისადმი დადებითი განწყობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ განაცხადა, რომ საქართველოს მსგავს მცირე ზომის ქვეყანაში ძალიან მნიშვნელოვანია შიდა რესურსების ოპტიმიზაცია და პროგრამების ხარისხიანად მომზადება, თუმცა ორ დისციპლინასთან დაკავშირებით მას გაუჩნდა რამდენიმე კითხვა. „განათლების ისტორიასთან“ დაკავშირებით განმარტა, რომ ლიტერატურა, რომელიც სილაბუსშია წარმოდგენილი, ნაკლებ ინტერესს გამოიწვევს დოქტორანტებში, პირველი რაც არის - სიმონ გამსახურდიას წიგნი „სწავლა-განათლება ძველ საქართველოში“ 1975 წელს არის გამოცემული, სიმონ გამსახურდია არ იკვლევდა პირველწყაროებს, ანუ მას არ უკვლევია სწავლა-განათლება ძველ საეკლესიო ტრადიციებში, ქართული ლიტერატურა ძალიან მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით. გარდა ამისა არსებობს შესანიშნავი პუბლიკაციები ქართულ ენაზე, როგორცაა ელენე მეტრეველის, მზექალა შანიძის და ივანე ჯავახიშვილის, გარდა ამისა უცხოელი ავტორების სტატიები, რომელთა ნაწილი ქართულადაც არის ნათარგმნი. არსებობს მათი ბრწყინვალე სტატია ათონელებზე, ათონური განათლების სისტემა და ოქტოტოიხონი, კვადრიუმი და ტრიდიუმის მიმართება. რაც შეეხება „პედაგოგიკის ისტორიას“, მეორე სავალდებულო ლიტერატურას, საბჭოს წევრმა განმარტა, რომ მართალია ცოტა ახალია 1998 წელს არის გამოცემული, მაგრამ თანამედროვე განათლების თეორიებთან შედარებით აბსოლუტურ აცდენაშია, ქართული პედაგოგიკის ისტორია 1974 წელს გამოცემული არის საპირისპირო იმისა, რასაც დღეს წერენ საგანმანათლებლო პრაქტიკაზე, უცხოეთში ცნობილი ქართველოლოგები, თავზიშვილის „პედაგოგიური თხზულებანი“ 1974-1977 წლებში გამოცემული, მან არ იცის რამდენად კარგია მათი წიგნი, რომელიც გამოცემულია 2012 წელს, მაგრამ სხვა სადოქტორო პრაქტიკებზეც საბჭოს აქვს მოლოდინი, რომ ამ დარგის კონცეპტუალურ საკითხებს დოქტორანტები გაივლიან უფრო თანამედროვე კვლევითი სტატიებით, საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალების კვლევითი სტატიებით, შემდეგი ლიტერატურაა „გაიდლაინების“ ტიპი, რომელიც ზოგადი ისტორიაა 50 ბუმბერაზი განათლებაში, უბრალოდ ის უფრო ფართო მკითხველისთვისაა განკუთვნილი და არა კვლევისთვის, ასეთივეა შემდეგი ლიტერატურაც ვლადიმერ გაგუასი, რომელიც 1944 წელს გარდაიცვალა და მაშინ მისი შეფასებები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიმართ უბრალოდ არ შეიძლება, მისი აზრით ლექტორი ვერ მოახერხებს ამ ყველაფერზე დისკუსირებასაც კი სტუდენტებთან, და ამ წიგნებიდან არის ალბათ

გადაყოლილი ტერმინი „ბურჟუაზიული პედაგოგიკა“, რომელიც პირდაპირ არის მითითებული ერთ-ერთ სილაბუსში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ჭკუასელმა განაცხადა, რომ გარკვეულწილად ეთანხმება საბჭოს წევრ ნინო დობორჯგინიძეს, რადგან ლიტერატურა არ არის უახლესი, რადგან ქართულად ფიზიკურად არ მოიპოვება, იმას, რაც საბჭოს წევრმა დაასახელა დაამატებდა კორნელი კეკელიძისა და კიდევ ძალიან ბევრი ავტორის ლიტერატურას, მაგრამ იმ ლიტერატურებში, რომლებსაც შემდეგ მუშაობის პროცესში აძლევენ, საკითხი არ არის განხილული პედაგოგიკის კუთხით, განხილულია უფრო წყაროები, თუ რა არის და როგორ იყო საქართველოში, მაგრამ ამის განსახილველად თუ რა იყო მიზანი განათლების, რა იყო შინაარსი განათლების პედაგოგიური კუთხით, არ დავობს იმაზე, რომ ეს ლიტერატურა შესაძლებელია დაემატოს, ამასთან გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ეს კურსი, ისევე როგორც პედაგოგიკის კურსი არ არის ძალიან საფუძვლიანი და ღრმა, შემდეგ თუ დოქტორანტი აირჩევს მიმართულებას და გადაწყვეტს რომ მას სურს მუშაობა განათლების ისტორიაში, მათ აქვთ ძალიან დიდი ლიტერატურა ამ კუთხით, რომელიც განათლების ისტორიას სწავლობს და მოთხოვნის შესაბამისად მიეწოდებათ, მაგრამ ვერ დაეთანხმება საბჭოს წევრს გიორგი თავზიშვილის სამტომეულთან დაკავშირებით, რომელიც არის, როგორც სახელმძღვანელო ლიტერატურა ქართული პედაგოგიკის ისტორიაში. რაც შეეხება ვლადიმერ გაგუას, როგორც აღინიშნა, მან გამოიკვლია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. პროგრამა თითქმის ყველაფერს მოიცავს, თუ მიაქცევდნენ ყურადღებას, კურსი აგებულია არა ცალკეული ისტორიკოსების მიხედვით, არამედ ეპოქების მიხედვით, რა იყო საქართველოში და რა იყო საზღვარგარეთ, რა იყო შემდეგ საზოგადოებაში, სადავო არ არის მათი პერიოდიზაცია, რაც ძალიან მძიმე თემაა და ვინ რომელ პერიოდს იზიარებს მისი გადასაწყვეტია, კონკრეტული პერიოდიზაცია ცალსახად მიწოდებული არ არის, ეს კურსი აგებულია არა იმდენად ისტორიკოსების, არამედ საზოგადოების განვითარების პერიოდების მიხედვით, ამ პერიოდში განათლება ზოგადად მსოფლიოში და საქართველოში, ამ კუთხით არის, და შესაძლებელია ქართულ პედაგოგიკაში არ იყოს სიღრმეები, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ცხადია კურსი გადრეკდება ამ მიმართულებებით, მან მაღლობა გადაუხადა შენიშვნისათვის და განაცხადა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებენ მათ რეკომენდაციებს.

ექსპერტმა ნიკოლოზ ფარჯანაძემ განმარტა, რომ არ სურდა საბჭოს წევრებს შეჰქმნოდათ ისეთი შთაბეჭდილება თითქოს ექსპერტებს არ ჰქონიათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არც რჩევა და არც კომენტარი, უბრალოდ ისინი ამ პროცესს უყურებდნენ, როგორც გაუმჯობესებისა და დახმარებისკენ მიმართული სულისკვეთებით. ამ შემთხვევაში ლიტერატურასთან დაკავშირებით რომ რეკომენდაცია გაეცათ, მაშინ გარკვეული ალტერნატივა უნდა შეეთავაზებინათ და ცნობილი ფაქტია, რომ ქართულ ენაზე არ არის ბევრი პუბლიკაცია. თუმცა სილაბუსში, ყოველი კვირისთვის ცალკეული დისერტაციებია მითითებული, ასევე სტატიები, მაგ., გიგი თევზაძის სტატია, რევაზ ბალანჩივაძის წიგნი 2017, 2018, 2019 წლის გამოცემები და მათ შორის სადოქტორო დისერტაციები. ექსპერტები იაზრებენ, რომ სასურველია ძირითად ლიტერატურა მოიცავდეს უახლეს გამოცემებს, მაგრამ ქართული რეალობიდან გამომდინარე აღნიშნული საკმაოდ რთულია.

საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ განმარტა, რომ იგი გულისხმობდა რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს. ამასთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ცალკეული კვირების მიხედვით არის ლიტერატურა გაწერილი.

საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ განაცხადა, რომ დღეს 2020 წელს, დაწესებულებას გაუჭირდება დოქტორანტს ასწავლოს უახლესი ლიტერატურის გარეშე. იმ შემთხვევაში თუ დაწესებულებას ამის საპირწონედ ექნებოდა პოსტსაბჭოური ლიტერატურა, არის ამაზე

კვლევებიც. ასევე, აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმება, რომ ბოიდერის სტატია კონსტრუქტივიზმის თეორიის მიხედვით ანალიზებს სკოლებს.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა, ირმა გრძელიძემ განაცხადა, რომ მსჯელობენ ფუნდამენტურ თემაზე: ერთია აღნიშნული კურსი რამდენად ფარავს იმ საჭიროებას, რომელიც დგას კონკრეტული კურსის წინაშე, როგორც ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა და ძალიან ბევრი დამატებითი მასალა ახლავს აღნიშნულ სილაბუსს, თუმცა რა თქმა უნდა კურსი შესაძლებელია ყოველთვის განვითარდეს და აბსოლუტურად ეთანხმება ამაში, რომ უცხოენოვანი ლიტერატურა, თანამედროვე, რეფერირებად ჟურნალებში გამოცემული ლიტერატურა დაემატება სასწავლო კურსს. აქვე, აღსანიშნავია 5 კრედიტიანი კურსი, რომელიც დამატებით არის შეთავაზებული სტუდენტებისთვის არჩევითი საგნების ბლოკში, პროგრამის განმახორციელებლების აზრით არჩევითი საგნები მისცემს სტუდენტებს შესაძლებლობას, მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, გაიღრმავონ ცოდნა კონკრეტული მიმართულებით.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იმერი ბასილაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ იზიარებს ქალბატონი ნინო დობორჯგინიძის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს, აპელირება სვიმონ გამსახურდიას ნაშრომებთან დაკავშირებით იმ თვალსაზრისით არის, რომ დოქტორანტებმა უნდა იცოდნენ რა ლიტერატურა არსებობდა და ამ ლიტერატურის გამოყენება გარკვეულწილად შეიძლება დისერტაციის სპეციფიკიდან გამომდინარე დასჭირდეთ, თუმცა პროგრამაში მითითებულია ბევრი ახალი, თანამედროვე წიგნი კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, როგორცაა მარია მონტესორის პედაგოგიკური შეხედულებები, განათლების მატთან, ასეთი წიგნი, რომელშიც ახლებურად არის წარმოჩენილი თანამედროვე პედაგოგიკის ისტორია და ქართული პედაგოგიკის ისტორია, ამ წიგნების ერთობლივი კომბინაციისა და საშუალებით შესაძლებელი იქნება დოქტორანტმა გარკვეულწილად მიიღოს ინფორმაცია მისი კვლევის სპეციფიკასთან დაკავშირებით, მაგრამ განმახორციელებლები ფიქრობენ, რომ პროგრამა და სასწავლო კურსი არის განვითარებადი სასწავლო კურსი, ამ შემთხვევაში ის შეიძლება არ იყოს სრულიად სრულყოფილი და მოიცავს დღევანდელ ეტაპზე არსებულ იმ მასალას, რაც აქვთ პედაგოგიკის კუთხით, მათ შორის პედაგოგიკის თეორიის/ისტორიის კუთხით, სწავლების თეორიის კუთხით, ამ თვალსაზრისით ქართულ ენაზე არსებულ ლიტერატურას მოუყარეს თავი, რათა მომავალ დოქტორანტებს გაუმარტივდეთ სამეცნიერო მუშაობა. პროგრამაში მითითებულია 2016 წელს გამოცემული წიგნებიც: მასწავლებლის პედაგოგიური ხელოვნება, სწავლისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები და საკითხები, რომლებშიც თანამედროვე ხედვით ბევრი საკითხი კარგად არის გადმოცემული, ასევე მარია მონტესორის „ჩემი მეთოდი-დაწყებითი განათლება“, რომელიც უფრო ახალი და თანამედროვეა. აქვე, საუბარია მათემატიკის საკითხებზე, სადაც კონკრეტულად სწავლების თეორიაა განხილული, რომელის წიგნიც 2020 წელს არის გამოცემული. თუმცა, საბჭოს წევრის შენიშვნები გარკვეულწილად მისაღებია და მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტებს იმ შრომისთვის, რომელიც 2019 წლიდან დაიწყეს, რის შედეგადაც შექმნეს ერთობლივი პროგრამა, რომელიც სრულიად ახალია საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰქონდა მსგავსი სახის გამოცდილება, კერძოდ სამ უნივერსიტეტს ჰქონდა ერთობლივი ხელშეკრულება და ამ ეტაპზე უკვე ოთხ სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის შედგა კომუნიკაცია, რომელიც დიდი ხნის მანძილზე სამეცნიერო-კვლევითი კუთხით გაწყვეტილი იყო. ახლა კი იქმნება ერთობლივი პროგრამა, რაც გულისხმობს, რომ განათლების კუთხით ამაღლდება სადოქტორო დისერტაციების დაცვის ხარისხიც.

საბჭოს მდივანმა, ნიკა თიკანაშვილმა განაცხადა, რომ მიესალმება აღნიშნული პროგრამის შემუშავებას. საკმაოდ საინტერესოა ერთობლივი პროგრამის შექმნა და მათ შორის უცხოური

გამოცდილების გაზიარება. ამ კუთხით, იგი დაინტერესდა პროგრამის ჩარჩოსა და სტრუქტურაში სასწავლო კომპონენტის განხორციელების თვალსაზრისით თუ როგორ ხდება დოქტორანტების განაწილება, რა მოლოდინებია ამ მიმართულებით და არის თუ არა გათვალისწინებული კვლევით ნაწილში უცხოელი ხელმძღვანელების ჩართვა.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ქეთევან ჭკუასელმა განაცხადა პრაქტიკული კომპონენტის კურსი, რომელიც განხორციელდება შემოდგომის ან გაზაფხულის სემესტრში, აღნიშნულ კურსს ჰყავს უცხოელი ავტორი ჯორჯ პიჯანოვსკი, რომელიც თავად გაუძღვება კურსს ყველა სემესტრში და სწორედ ეს იქნება უცხოელი სასწავლო კომპონენტი, რომელიც მოიცავს სტრუქტურასა და სალექციო კურსებს. პროგრამის ერთ-ერთმა განმახორციელებელმა განმარტა, რომ სილაბუსები შექმნილია ოთხივე უნივერსიტეტის ერთიანი რესურსით, რაც შეეხება დანარჩენი სასწავლო კურსების წაკითხვა განხორციელდება თითოეულ უნივერსიტეტში ადგილზე. პროგრამაში მითითებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლის მიხედვითაც თითო პროფესორს შეიძლება ჰყავდეს 3 დოქტორანტი, რომელთა საკვლევ თემატიკასაც მოიცავს პროფესორის კომპეტენცია. თითოეული დოქტორანტობის კანდიდატი განცხადების რეგისტრაციის პროცესში უთითებს თუ რომელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სურს სწავლა. თითოეულ უნივერსიტეტს აქვს განსაზღვრული ადგილების რაოდენობა. მიუხედავად იმისა, თუ რომელ დაწესებულებაში ჩაირიცხება დოქტორანტი, მათ ექნებათ შესაძლებლობა მათთვის სასურველი კონკრეტული კურსი მოისმინონ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, თუმცა აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ ყველა დაწესებულებაში იკითხება იდენტური სასწავლო კურსები, რადგან ყველა ინსტიტუცია უნდა იყოს პასუხისმგებელი ყველა აქტივობაზე და ამის გამო ხდება, რომ თითოეული კურსს ყველა უნივერსიტეტი ახორციელებს. სადოქტორო პროგრამის ყველა საკითხს წყვეტს მისი მმართველი საბჭო, რომელიც შედგება ოთხივე უნივერსიტეტის პროფესორებისგან. რაც შეეხება კოლოკვიუმებს, რომელიც დოქტორანტმა უნდა წარადგინოს მმართველი საბჭოს წინაშე, როგორც მოგეხსენებათ მმართველ საბჭოში შედის ორი უცხოელი პროფესორი ბოლონიიდან და შესაბამისად მათაც ეგზავნებათ ანოტაციები, „ზუმის“ საშუალებით კი პროფესორები უცხოეთიდან განახორციელებენ ჩართვას აღნიშნულ პროცესში, აქედან გამომდინარე არცერთი სადოქტორო ნაშრომი არ იქნება მმართველი საბჭოს ფილტრის გავლის გარეშე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:58

დასრულების დრო: 17:08

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭო იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი ფორმულირებით:

1. განათლების ადმინისტრირების სასწავლო კურსის არსებობა დაეხმარებოდა სტუდენტს, გაეფართოებინა საკუთარი თვალსაწიერი და უკეთ დაეგეგმა როგორც სწავლის, ასევე კვლევის პროცესი;
2. აუცილებელია განისაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები და საკანონმდებლო მოთხოვნები. ასევე, უნდა განისაზღვროს ქართულ ენაში მინიმალური ენობრივი კომპეტენცია;
3. აუცილებელია, პრაქტიკული კვლევის სასწავლო კურსს წინაპირობად განესაზღვროს კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების სასწავლო კურსი;
4. აუცილებელია, პედაგოგიკის თეორიის სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობის გაზრდა ან გარკვეული საკითხებისათვის ცალკე სასწავლო კურსის შემუშავება, რომ სტუდენტმა მოახერხოს აუცილებელი ინფორმაციის ეფექტურად დამუშავება;
5. პროგრამის სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომობა უნდა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის განხორციელების მისამართზე ან ელექტრონული ბიბლიოთეკის მეშვეობით;
6. პროგრამის სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომობა უნდა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის განხორციელების მისამართზე ან ელექტრონული ბიბლიოთეკის მეშვეობით;
7. გადაიხედოს ლიტერატურა სასწავლო კურსების ნაწილში, განსაუთრებით, ძველი, საბჭოური პერიოდის სასწავლო მასალები; დაემატოს თანამედროვე სამეცნიერო მიდგომებზე დაფუძნებული ლიტერატურა. სახელმძღვანელოების ნაცვლად, აქცენტი გაკეთდეს თანამედროვე და აქტუალურ კვლევით ნაშრომებზე.

გადაწყვეტილება:

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

2. მეორე საკითხი: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ციფრული მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| | |
|---|---|
| № | ინფორმაციისაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ |
|---|---|

| | | |
|----|--|--|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ციფრული მენეჯმენტი |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მეშვიდე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | მენეჯმენტის მაგისტრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 (მენეჯმენტი და ადმინისტრირება) |
| 12 | სწავლების ენა | ინგლისური |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი | შატილის ქ. N4; ქ.თბილისი, 0178, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - დიმიტრი გეგენავამ და ირმა წერეთელმა.

საფუძველი - დაწესებულებასთან შრომითი ხელშეკრულების არსებობა.

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ - ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მერაბ ხოხობაია მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას, მან წარადგინა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სამაგისტრო პროგრამაზე „ციფრული მენეჯმენტი“ და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2020 წლის 27 აგვისტოს. დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით განხორციელდა ყველა დაგეგმილი შეხვედრა. კერძოდ, დაწესებულების ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრების დასასრულს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის განხილვის და ვიზიტის შედეგად პროგრამის შესახებ ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები გააცნო საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს. სამაგისტრო პროგრამა არის ერთობლივი/გაცვლითი, რომელიც ხორციელდება პარტნიორ ფრესენიუსის უნივერსიტეტთან (გერმანია) თანამშრომლობით, აღნიშნული პროგრამა ფაქტობრივად არის ანალოგი გერმანული უნივერსიტეტის პროგრამის და იგი აკრედიტებულია გერმანიაში. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე ასეთი ტიპის პროგრამა არ არსებობს და პროგრამა შინაარსობრივად ძალიან საინტერესოა.

პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა, როგორც რეკომენდაციები, ასევე რჩევებიც. რეკომენდაციები არის შემდეგი:

1. რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამას „ციფრული მენეჯმენტი“ წინაპირობად განესაზღვროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას აქვს გარკვეული ფილტრები, მიღების თვალსაზრისით, უნივერსიტეტსაც აქვს აღნიშნული პრაქტიკა სხვა პროგრამებთან მიმართებით და ვინაიდან არის სპეციფიკური პროგრამა, ინგლისურენოვანი, შესაბამისად ჯობია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა იყოს ამ პროგრამის წინაპირობა;
2. რეკომენდებულია კვლევის მეთოდები განისაზღვროს სავალდებულო სასწავლო კურსად, რაც ხელს შეუწყობს მეთოდოლოგიური და პრაქტიკული თვალსაზრისით სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას, კვლევითი კომპონენტი არის წარდგენილი ფინალურ ეტაპზე, რომელიც ორიენტირებული იქნება, რომ სტუდენტებს განუვითარდეთ ის უნარ-ჩვევები, რაც კვლევითი სამუშაოების შესასრულებლად არის საჭირო;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის სასწავლო გეგმაში დაკორექტირდეს კურსებზე დაშვების წინაპირობები, რომელიც გარკვეულწილად ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციაა, რადგან კოდების სახით იყო პროგრამაში წარდგენილი, სილაბუსებში განსხვავებული ფორმით და იყო აცდენები;
4. რეკომენდებულია დაზუსტდეს კვლევით კომპონენტზე სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა;
5. რეკომენდებულია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამაში სავალდებულო კურსების ნაწილში გაითვალისწინოს პროგრამული პაკეტი, რომელიც

ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკული ციფრული უნარების განვითარებას, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამაში გაითვალისწინოს პრაქტიკული ციფრული უნარების განმავითარებელი პროგრამული პაკეტი (მაგალითად, ERP და CRM სისტემები), რომელიც შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას პროგრამაში წარმოდგენილ სასწავლო კურსებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ციფრული მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ვასილ კიკუტაძე მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი თანახემდგვანელი შალვა მაჭავარიანი ესწრება სხდომას, ხოლო მესამე ხელმძღვანელი კი გერმანელია და ვერ მოახერხა ჩართვა. მაღლობა გადაუხადა ექსპერტებს საინტერესო მუშაობისა და მოსაზრებებისთვის და წარადგინა მათი პოზიცია რეკომენდაციებთან მიმართებით, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

1. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსაზღვრულ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „ციფრული მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობად განსაზღვრული „გასაუბრება შესარჩევ კომისიასთან“ გულისხმობს, წინასწარ მიწოდებული დარგობრივი საკითხების მომზადებას აპლიკანტების მიერ, რაც ფაქტობრივად იგივეა რაც „შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში“, რომელიც ემსახურება პროგრამაზე ჩარიცხვისათვის შესაბამისი კანდიდატების შერჩევას. წერით გამოცდასთან დაკავშირებით განმარტეს, რომ საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება აღნიშნული ფორმატიც, რომელიც მოითხოვს გარკვეული საკითხების წერით წარმოდგენას და მოხდება ამის გათვალისწინებაც;
2. შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც რეკომენდებულია კვლევის მეთოდები განისაზღვროს სავალდებულო სასწავლო კურსად, აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა იმსჯელეს პაროგრამის უცხოელ პარტნიორებთან ერთად, თუმცა მათი თქმით გერმანიაში ყველა საბაკალავრო პროგრამაზე სავალდებულოდ ისწავლება კვლევის მეთოდები და ამიტომ არ მიიჩნიეს სამაგისტრო პროგრამაში ძირითად საგნების ბადეში მოქცევა. მიუხედავად ამისა არის მოსაზრება, რომ იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც საბაკალავრო საფეხურზე არ ექნება ნასწავლი კვლევის მეთოდები და ჩათვლიან, რომ აღნიშნული დისციპლის გავლა მათთვის რეკომენდირებული იქნება, ამ შემთხვევაში საშუალება ექნებათ, რომ არჩევითი კურსის სახით აირჩიონ. ექსპერტების რეკომენდაციის თანახმად, კარგი იქნება თუ ეს გახდება სავალდებულო ხასიათის, რადგან რეკომენდაციის მიუხედავად შესაძლებელია სტუდენტებმა არ აირჩიონ ეს კურსი, აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობენ რომ ეს კარგი იქნება პროგრამის განვითარებისთვისაც და გეგმავენ მოცემული რეკომენდაციის გათვალისწინებას, ამასთანავე ამ საკითხთან დაკავშირებით პარტნიორებს არ გაუწევიათ წინააღმდეგობა, რადგან შესაძლებელია რომ დადებითად იმოქმედოს პროგრამის განხორციელების შედეგზე;
3. შემდეგი რეკომენდაცია, რომელიც ეხება სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის სასწავლო გეგმაში კურსებზე დაშვების წინაპირობების დაკორექტირებას, დაწესებულებისთვის მისაღებია. უნივერსიტეტი მზად არის მოახდინოს წინაპირობების ნაწილში მითითებული სასწავლო კურსის გამომსახველი კოდების ტექნიკური უზუსტობების კორექტირება;
4. დაზუსტდეს კვლევით კომპონენტზე სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა, აღნიშნული რეკომენდაცია მისაღებია და უნივერსიტეტი მზად არის ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით დააკორექტიროს პროგრამის სასწავლო გეგმაში სამაგისტრო

ნაშრომზე დაშვების წინაპირობის შესახებ არსებული ჩანაწერი, „პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და თავისუფალი კომპონენტები“ შემდეგი ფორმულირებით: „პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები, პრაქტიკის კომპონენტის გარდა“;

5. ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება პროგრამული პაკეტით უზრუნველყოფას უნივერსიტეტის წარმომადგენლები ფიქრობენ რომ ძალიან საინტერესო საკითხია და გარდა ექსპერტთა მიერ შეთავაზებული რჩევებისა, დამატებით გამოიკვეთა გარკვეული პერსპექტივები აღნიშნული მიმართებით და დაწესებულება გეგმავს მოცემულ საკითხზე პაროგრამის უცხოელ პარტნიორებთან ერთად მსჯელობას, რთა მოახდინონ რეკომენდაციის გათვალისწინება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა პროგრამასთან დაკავშირებით, ეს იყო გერმანიის უნივერსიტეტის ანალოგი თუ მასში განხორციელდა ცვლილებები, აღნიშნულთან დაკავშირებით ინტერესი გამოიწვია დაწესებულების წარმომადგენლის ვასილ კიკუტაძის განცხადებამ, რომ გერმანიის უნივერსიტეტს პროგრამაში არ აქვს გაწერილი კვლევის კომპონენტი, რაც გამოყენებული იყო რეკომენდაციის არგუმენტად თუ რატომ ააგეს ასეთი კურიკულუმი, საბჭოს წევრი არ იცნობს გერმანიის უნივერსიტეტის კურიკულუმს და შესაბამისად აღნიშნული საკითხის მიმართ ინტერესიც სწორედ აქედან გამომდინარეობდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ ეს იყო ერთობლივი პროგრამა, რომელიც ერთობლივი მსჯელობის შედეგად ჩამოყალიბდა. აქვე განმარტა, რომ როდესაც გაცვლითი პროგრამა იქმნება, უნდა მოხდეს კრედიტებისა და საგნების აღიარება, შესაბამისად მსჯელობის შედეგად მხარეები იღებდნენ მხედველობაში არსებულ რჩევებსა და რეკომენდაციებს, მათ შორის მოსაზრებებს კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა გერმანულ უნივერსიტეტში აღნიშნული ფაკულტეტი გერმანულენოვანია თუ ინგლისურენოვანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვასილ კიკუტაძემ განაცხადა, რომ ეს იყო ინგლისურენოვანი პროგრამა, რომელიც არა მარტო გერმანიაში, არამედ მსოფლიოს ათზე მეტ ქვეყანაში ფუნქციონირებს და გააჩნია საერთაშორისო აკრედიტაცია.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ პროგრამაში გაწერილია საკმაოდ ზოგადი მიზანი, სიტყვა „ციფრული“ რომ მოაშორონ მოცემული მიზანი ყველა მენეჯმენტის პროგრამას მოერგება და რჩევის სახით უთხრა, რომ სასურველია იკვეთებოდეს კონკრეტულად თუ რა მიზანი აქვს პროგრამას. მოცემულ პროგრამაში გაწერილია, რომ მეწარმეობის განვითარების, ინოვაციების და ა.შ. სიტყვა „ციფრული“ რომ ამოიღონ ჩვეულებრივი მენეჯმენტის პროგრამაზეც მორგებული მიზანი იქნება, ასევე აღნიშნა რომ აღნიშნული საკმაოდ კარგი მიზანია. საბჭოს წევრი ასევე დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ ციფრულ მენეჯმენტი შესაძლებელია სხვადასხვა მნიშვნელობით იგულისხმებოდეს, მაგ., დაწესებულებას ესმოდეს, როგორც მართვის გაუმჯობესება, ეფექტურობის მიღწევა თანამედროვე ტექნოლოგიების მიხედვით, ამ შემთხვევაში ERP სისტემების გამოყენების გარეშე შეუძლებელია, რადგან საკმაოდ ბევრი საგანია, რომელიც კავშირში არ არის კონკრეტულად ციფრულ მენეჯმენტთან.

აქვე აღნიშნა, რომ დისბალანსია საგნებსა და პროგრამის მიზანს შორის, მისი მოსაზრების თანახმად პროგრამა ოპერაციების მენეჯმენტის კუთხით უნდა გაძლიერდეს. პროგრამას

გააჩნია საკმაოდ ბევრი საგანი სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ უკეთესი იქნება თუ ციფრული ტექნოლოგიები უკეთ იქნება გამოკვეთილი. ასევე მეწარმეობის კურიკულუმთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კარგი მეწარმეობის სილაბუსია, მაგრამ რა იგულისხმება ციფრული მეწარმეობაში, თვითონ მეწარმეობა ციფრულ სფეროში თუ მეწარმეობაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაზეა აქცენტი გაკეთებული. ასევე განმარტება გააკეთა ფინანსების ორ სილაბუსთან დაკავშირებით, სადაც წარმოებაში ფინანსები და მიზანში კი ფასიანი ქაღალდები იყო გაწერილი. რაც შეეხება დაფინანსების მოძიებასა და ფინანსურ მენეჯმენტს, მისი აზრით უკეთესი იქნება ბიუჯეტირების საკითხები მარტივი ფინანსებით რომ ასწავლონ, რადგან სტუდენტებს სხვადასხვა ბაზისური განათლება აქვთ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვასილ კიკუტაძემ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს ერთმანეთისგან განსხვავებული მიმართულების განათლება აქვთ, მათ მოუწევთ ერთი სახის მისაღები გამოცდის ჩაბარება.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ კარგი იქნება ფინანსების სწავლა, რომელიც საშუალებას მისცემს აქციებზე, ობლიგაციებზე, დაფინანსების წყაროებზე იფიქრონ, მისი აზრით მოცემული საკითხების ჩამატება ურიგო არ იქნება. აქვე აღნიშნა პროგრამის დასახელება „ციფრული მენეჯმენტი“, რა არის მიზანი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება მენეჯმენტში ?

დაწესებულების წარმომადგენელმა ვასილ კიკუტაძემ განაცხადა, რომ საუბარია მენეჯერებზე, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან ციფრული უნარებით, რაც შეეხება კვალიფიკაციის ჩარჩოს, კვალიფიკაციის ციფრული მენეჯმენტის მაგისტრის მინიჭება არ ხდება, შესაბამისად კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით არის „მენეჯმენტის მაგისტრი“, აქედან გამომდინარე სტუდენტები აღჭურვილნი იქნებიან ციფრული უნარებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა, შალვა მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ ითვალისწინებდნენ პროგრამის გერმანულ პროგრამასთან თავსებადობას, ასევე აღნიშნა, რომ პროგრამას აქვს საერთაშორისო აკრედიტაცია. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ კურსდამთავრებულები პირველ წელს სწავლობენ საქართველოში, მეორე წელს კი გერმანიაში, შესაბამისად არ უნდა იყოს აცდენა, რადგან არ წამოიშვას პრობლემა ხარისხის მინიჭების დროს.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ მათ აშშ-ის დავალებით თარგმნეს რამდენიმე წიგნი, მათ შორის მეწარმეობასა და ოპერაციების მენეჯმენტზე, რომელიც წლის ბოლოსთვის გამოქვეყნდება, მათ გათვალისწინებული აქვთ სტუდენტების ხელშეწყობა აღნიშნული მიმართულებით, რადგან არ მოხდეს გერმანულ პროგრამასთან აცდენა .

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვასილ კიკუტაძემ დააზუსტა, რომ ეს იყო მეწარმეობაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით სიხარულიძემ განაცხადა, რომ როგორც საბჭოს წევრმა აღნიშნა, საწარმოს ფინანსები და ფინანსური მენეჯმენტი ისწავლება, საწარმოს ფინანსები ემსახურება გარკვეულ მიზანს, ფინანსური მენეჯმენტი კი აქციებისა და ობლიგაციების შეფასებას. აქვე განმარტა, რომ ისინი ასწავლიან ფინანსურ მენეჯმენტს, თუმცა მენეჯმენტის პროგრამიდან გამომდინარე სწავლება ხორციელდება გარკვეული დონის ფარგლებში, ასევე კურიკულუმში არის საგანი, სადაც ოპერაციათა მენეჯმენტი ისწავლება და შესაბამისად სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფა მოცემულია ცალკეულ საგნებში, რაც სილაბუსებშიც არის აღნიშნული.

საბჭოს წევრმა, რომელიც გალდავამ განაცხადა, რომ რადგან ციფრულზე საუბრობენ ურიგო არ იქნებოდა პროგრამაში ციფრულ უსაფრთხოებაზეც ყოფილიყო აქცენტები გაკეთებული, რაც ურიგო არ იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვასილი კიკუტაძემ განმარტა, რომ არის კურსი „ელექტრონული კომერცია“, რომელიც ამ მიმართულებით გარკვეულწილად მოიცავს უსაფრთხოების დეტალებსაც, თუმცა ეს არ არის კლასიკური ციფრული უსაფრთხოების ცალკე კურსი, რაც კომერციის თვალსაზრისით შესაძლებელია იქნეს განხილული უსაფრთხოების კონტექსტში. ასევე გარკვეული საკითხები ასახულია „სოციალური მედია მენეჯმენტის“ მიმართულებით რამდენიმე საკითხი, თუმცა კომერციაში უკეთ არის გაწერილი.

უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა, რომ პროგრამა, რომელიც საბჭოზეა წარდგენილი 2 წელს განმავლობაში მუშავდებოდა. იგი ეთანხმება საბჭოს წევრს, რომ ადაპტირება ზუსტად ვერ გამოვიდოდა, რადგან ციფრული მიმართულებით და სწავლების კუთხით გერმანიის უნივერსიტეტი სხვა საფეხურზეა, ისევე როგორც ქვეყანა. საქართველოში კი მისი განვითარება ახლა იწყება, მითუმეტეს აკადემიური პროგრამის დანერგვის მიმართულებით, შესაბამისად ძალიან მნიშვნელოვანია თუ როგორ სახეს მიიღებს პროცესი და რა შედეგი დადგება პირველი და მეორე სასწავლო წლების განმავლობაში. შესაძლებელია გერმანული მოდელი სრულად მიიღეს სილაბუსებითა და ლიტერატურით, მაგრამ მთავარია, აღნიშნული თუ როგორ მოერგება ქართულ პროგრამას, რაც პრაქტიკიდან გამოიკვეთება. პროგრამას ერთი სრული კურსის დამთავრების შემდეგ დასჭირდება კვლევის შედეგად ანალიზი განვითარების კუთხით, რომელიც უფრო ეფექტიანად წარმართავს პროცესს და შესაბამისობაში მოვლენ პარტნიორ უნივერსიტეტის სტანდარტებთან. დიდი როლი უკავიათ პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი მიმდინარე პროცესში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:37

დასრულების დრო: 17:51

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭო იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ციფრული მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი ფორმულირებით:

ა) რეკომენდებულია კვლევის მეთოდები განისაზღვროს სავალდებულო სასწავლო კურსად, რაც ხელს შეუწყობს მეთოდოლოგიური და პრაქტიკული თვალსაზრისით სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას.

ბ) რეკომენდებულია სასწავლოკ ურსების სილაბუსებში და პროგრამის სასწავლო გეგმაში დაკორექტირდეს კურსებზე დაშვების წინაპირობები.

გ) რეკომენდებულია დაზუსტდეს კვლევით კომპონენტზე სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა.

დ) რეკომენდებულია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამაში სავალდებულო კურსების ნაწილში გაითვალისწინოს პროგრამული პაკეტი, სხვადასხვა სპეციალიზირებული სოფტები (განსაკუთრებით ERP სისტემები) რომლებიც გამოიყენება ორგანიზაციის მართვაში, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკული ციფრული უნარების ანვითარებას.

ე) რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმი გაძლიერდეს კურსებით ოპერაციათა მართვისა და ციფრული უსაფრთხოების შესახებ.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ციფრული მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

3. მესამე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ | |
|----|--|----------------------------------|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ელექტრონული ინჟინერია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მეექვსე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | |

| | | |
|----|---|--|
| | | ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი0714 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | მ. კოსტავას ქ. N77ა, 0171 თბილისი, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვალერიან გობრონიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 20 ივლისს, საგანმანათლებლო პროგრამა I, III, IV, V სტანდარტები სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო II სტანდარტი კი მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა როგორც რჩევები, ასევე რეკომენდაციებიც. მათ მიერ გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უცხოელი სტუდენტებისთვის შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების მოთხოვნებთან. კერძოდ, სწავლის გაგრძელების მსურველი პირებისთვის პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით სავალდებულოა ჩატარდეს გასაუბრება ქართულ ენაში. ასევე, ზემოაღნიშნული ბრძანებით უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტებს და სტუდენტებს არ მოეთხოვებათ ბოლო ორი წლის განმავლობაში უცხო ქვეყანაში სწავლისა და ცხოვრების ფაქტის დადასტურება;

2. პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი საგნები - „სიგნალების დამუშავება“ და „გამზომი ხელსაწყოები“ დაემატოს პროგრამის ძირითად საგნებს;
3. მერვე სემესტრში დაემატოს არჩევითი საგანი „ელექტრონული სქემების დიზაინი“;
4. შესწორდეს დაშვების წინაპირობა სასწავლო კურსში „ანალოგური ელექტრონიკა“;
5. სილაბუსებში მიეთითოს კონკრეტული ამოცანები და ლაბორატორიული სამუშაოები;
6. პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის გაძლიერდეს ლაბორატორიული ბაზა სტუდენტების რაოდენობის ზრდის შესაბამისად;
7. თვითშეფასების ჯგუფის შექმნისას გათვალისწინებული იქნას ჯგუფში სტუდენტების ჩართულობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ყველა ისე რეკომენდაცია, რომელიც მიიღეს ექსპერტთა ჯგუფისგან შეისწავლეს ყურადღებით, რასთან დაკავშირებითაც ვიზიტის დროსაც ჰქონდათ საუბარი. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს მათ მიერ გაცემული რეკომენდაციებისათვის და აღნიშნა, რომ მეტწილად ეთანხმებიან და გაითვალისწინებენ აღნიშნულ რეკომენდაციებს. თუმცა რეკომენდაციების საჭიროება შესაძლოა გამოწვეული იყო იმით, რომ მათი ხედვები განსხვავდება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწერილ რეკომენდაციებს ეთანხმებიან, ძირითადად იმ ნაწილში, რომელიც პროგრამას შეეხება, საგნის დამატებაზე, არჩევითიდან ძირითადში გადატანაზე და სხვა. აქ დაწესებულების ხედვას წარმოადგენდა ის, რომ სტუდენტს ჰქონოდათ მეტი თავისუფლება არჩევანის გაკეთებაში, თუმცა დაწესებულება თანახმაა, რომ აღნიშნული გადაიტანონ ძირითად საგნებში. მათ მიერ გაზიარებულია კიდევ ერთი რეკომენდაცია „ელექტრონული სქემების დიზაინთან“ დაკავშირებით, რომლის გამრავალფეროვნებას თავადაც გეგმავდნენ. ერთ-ერთ საგანში იყო ტექნიკური უზუსტობა, ორი საგნის სილაბუსში არეული იყო წინაპირობები, რომელიც ამჟამად გამოსწორებულია. რაც შეეხება ლაბორატორიულ სამუშაოებში კონკრეტული ამოცანების გაწერას, არსებობს ხედვა, რომ შეიძლება სილაბუსში იყოს, მათთან კი არის პრაქტიკა, რომ სტუდენტი ლაბორატორიაში ეცნობა ამოცანებს, ამიტომ ესეც ტექნიკური საკითხია და შესაბამისად გამოსწორებადია.

რაც შეეხება ძირითად თემატიკას, იგი გაიწერება სილაბუსში. ლაბორატორიული ბაზის გაძლიერების შესახებ საკითხი კი როგორცაა მისი გამრავალფეროვნება, ბაზის სრულყოფა და ა.შ. დაწესებულების მიმდინარე გეგმებს შეესაბამება და აქედან გამომდინარე შესრულდება. საკითხს, რომელიც ეხება სტუდენტების ჩართვას თვითშეფასების ჯგუფში, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ისედაც ჰყავთ ჩართული სტუდენტები აღნიშნულ პროცესში. მაგ., გამოკითხვებში, რომელსაც ეფუძნება თვითშეფასების ჯგუფი თავისი მუშაობისას, მაგრამ ფორმალურადაც რომ იყოს გაწერილი აღნიშნული საჭიროა, შესაბამისად ეთანხმებიან აღნიშნულ რეკომენდაციას. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ გამოსწორდება და შესაბამისობაში მოვა სტანდარტთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა მოითხოვა დაზუსტება N224/ნ ბრძანებასთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან და აღნიშნა, რომ ვერ ადგენს თუ რომელ ნაწილშია აღნიშნული მიმართებით რაიმე ტიპის უზუსტობა ან ხარვეზი. გაგზავნილ პროგრამაში იგივე ფორმულირებაა, რაც მოთხოვნილია რეკომენდაციაში, ასევე ინტერვიურების პერიოდში იმ სესიებზე რაზეც ხარისხის წარმომადგენლები ესწრებოდნენ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით არ განხორციელებულა საუბარი, სადაც საშუალება ექნებოდათ ზეპირსიტყვიერად ახსნიდნენ თუ როგორ ახდენდნენ სტუდენტების მიღებას ერთიანი ეროვნული გამოცდების ან საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე, შესაბამისად N224/ნ ბრძანებასთან სრულ შესაბამისობაშია პროგრამა, რომელიც პროგრამის დაშვების წინაპირობაშიც არის აღნიშნული. მისი აზრით გაუგებრობას აქვს ადგილი. რაც

შეეხება ენის კომპეტენციის აღიარების საკითხს, პროგრამაში პირდაპირ აქვთ გაწერილი და ასევე, აქვთ დიდი ხნის პრაქტიკა, რომ არის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სერტიფიკატები, რომლებიც ადასტურებს ენის ფლობის კომპეტენციას, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ სტუდენტმა ვერ წარადგინა რომელიმე ნუსხაში/პროგრამაში არსებული ენის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ამ შემთხვევაში აქვთ შესაძლებლობა განსაზღვრონ სტუდენტის ენის კომპეტენცია და აქედან გამომდინარე მათთვის ბუნდოვანია აღნიშნული რეკომენდაციის არსი.

საბჭოს თავმჯდომარემ კომენტარი გააკეთა თუ როგორი ფორმულირებით არის გაწერილი აღნიშნული საკითხი პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა არჩილ ჯანგირაშვილმა ამოიკითხა:

“საქართველოს მოქალაქეებისთვის:

აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის:

უცხოელმა აბიტურიენტებმა, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი საშუალო განათლება საზღვარგარეთ ან მისი ექვივალენტი, ან/და ზოგადი საშუალო განათლების ბოლო ორი წლის განმავლობაში ისწავლეს საზღვარგარეთ, ან სტუდენტები, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო ორი ან მეტი წლის განმავლობაში და სწავლობენ საზღვარგარეთ მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებში შეძლებენ პროგრამაში ჩარიცხვას ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე N224/ნ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (29 დეკემბერი, 2011)ბრძანების თანახმად. თუ აპლიკანტს არ გააჩნია ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი FCE (First Certificate in English), მან უნდა ჩააბაროს ინგლისურ ენის B2 დონის საუნივერსიტეტო გამოცდა (60% დადებითი შეფასება).”

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვალერიან გობრონიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული წინაპირობები გასაგებია თუ როგორ არის გაწერილი საქართველოს მოქალაქეებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის. თუმცა უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან მიმართებით განმარტა, რომ პრობლემა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ინგლისური ენის B2 დონის დადასტურებას სთხოვენ, არამედ ის, რომ პროგრამა არის ქართულენოვანი და პირველ რიგში მოთხოვნილ უნდა იქნას ქართული ენის კომპეტენციის დადასტურება. ექსპერტი დაინტერესდა რა ენაზე ასწავლიან უცხო ქვეყნის მოქალაქეს, როდესაც პროგრამა ქართულენოვანია, ქართულად თუ ინგლისურად, მას არ აქვს შენიშვნა ინგლისური ენის ცოდნასთან დაკავშირებით, თუმცა განმარტა, რომ ქართულენოვან პროგრამაზე სწავლისას უნდა მოეთხოვებოდეს ქართული ენის კომპეტენციის დადასტურება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა განცხადა, რომ უზუსტობასთან აქვთ საქმე, რადგან იმ შემთხვევაში თუ დაწესებულებას დასჭირდება უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, ამისათვის ნებართვა განათლების სამინისტროსგან სჭირდება და ამის შემდეგ აქვთ უფლება განახორციელონ უცხოენოვანი პროგრამა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ იკითხა უნდა საუბრობდეს თუ არა სტუდენტი ქართულ ენაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა განმარტა, რომ N224/5 ბრძანება იძლევა ბევრ შესაძლებლობას, თუ ვის შეუძლია სწავლა, ანუ ეს არის ფართო სივრცე, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს კონკრეტული პროგრამით, რომელსაც განსაზღვრული აქვს წინაპირობა უცხო ენის მოთხოვნასთან დაკავშირებით და რადგან მათ პროგრამაში ინტეგრირებული აქვს ძალიან ბევრი ინგლისურენოვანი ლიტერატურა და წყარო, შესაბამისად სჭირდება ენის დადასტურების კომპეტენცია, დანარჩენი წინაპირობები პროგრამაშია მითითებული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ენასთან დაკავშირებით არსებული განმარტება გასაგებია, თუმცა წინაპირობებში ქართული ენაც, რომ ეწეროს არაფერი დაშვდება/უკეთესი იქნება. რაც შეეხება უცხო ქვეყანაში სწავლას ბოლო 2 წელის მანძილზე აღნიშნულს N224/5 ბრძანება არ თხოვს უცხო ქვეყნის მოქალაქეს. ექსპერტმა განმარტა, რომ 2 წელი ეს არის სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეებისათვის, ასევე, სტუდენტებისათვის, რომლებიც ერთი სემესტრი სწავლობენ უცხო ქვეყნის უნივერსიტეტებში და მათ მიერ დაგროვილი კრედიტების აღიარება ხდება საქართველოში. როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის, ასევე საქართველოს მოქალაქეებისთვისაც არის დადგენილი ბარიერი 75 დღეს ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში. პროგრამის წინაპირობაში მოხსენიებულია N224/5 ბრძანება საქართველოს მოქალაქეებზე, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული, ამ შემთხვევაში აღნიშნული არ წარმოადგენს პრობლემას, რადგან ბრძანების შესაბამისი იქნებ, მაგრამ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დაკონკრეტებულია და რადგან დაკონკრეტებულია არასწორად ამაზე აქცენტი გაკეთებული. ექსპერტმა განმარტა, საუბარი რომ საქართველოს მოქალაქეზე ყოფილიყო N224/5 ბრძანების შესაბამისად, შენიშვნა არ ექნებოდათ, მაგრამ ამ შემთხვევაში დაკონკრეტებულია ორი უზუსტობა უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ ეს არ იყო გაშლილი რეკომენდაციაში და შესაბამისად ამიტომ იყო მისთვის ბუნდოვანი, თუმცა ახლა მისთვის გასაგებია ექსპერტის პოზიცია და განმარტა, რომ აღნიშნული იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელიც აუცილებლად გამოსწორდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს მდივანმა, ნიკა თიკანაშვილმა განაცხადა, რომ წინაპირობის საკითხი გასაგებია, რომ უნდა შესწორდეს ერთ-ერთ სასწავლო კურსში „ანალოგური ელექტრონიკა“ და სილაბუსში აღნიშნულ კურსს თავის მხრივ ჰქონდა წინაპირობა „წრედთა თეორია“, რომელიც უნდა შეიცვალოს.

საბჭოს მდივანმა აღნიშნა, რომ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და დაზუსტების კუთხით დაინტერესდა თუ რა იგულისხმება რეკომენდაციაში, სადაც აღნიშნულია, რომ ლაბორატორიული სამუშაოები მიეთითოს ამა თუ იმ სასწავლო კურსში, აქ არის საუბარი ფორმალურ მხარზე, რადგანაც ბევრ სასწავლო კურსში არ არის გაწერილი ლაბორატორიული სამუშაოები, რადგან ზოგიერთ საგანში თუ ლაბორატორიული მუშაობით არ შეფასდა სტუდენტი, მხოლოდ თეორიული ნაწილით შედეგზე გასვლა რთულია. რეკომენდაცია თავისი შედეგით გულისხმობს ფორმალურ მხარეს თუ იმას, რომ ლაბორატორიული სამუშაოები თავისი მეთოდოლოგიით შესაბამისობაში მოვიდეს სტუდენტების საჭიროებებთან.

ექსპერტმა, შალვა კვიციანიამ განაცხადა, რომ ლაბორატორიული სამუშაოები ორად რომ გაიყოს, სადაც ერთი იქნება შემოქმედებითი ხასიათის, რომელიც არის თავისუფალ სივრცეებში და შესრულდება პროექტების სახით, რისი რესურსიც უნივერსიტეტში გააჩნია სივრცის

კუთხითაც და ასევე, მოწყობილია ლაბორატორიებიც, შესაბამისად აღნიშნული უნდა გაიწეროს სილაბუსში და ასევე უნდა ჩამოყალიბდეს მისი შესრულებისა და სწავლის შედეგზე გასვლის მექანიზმი. აღნიშნულ რეკომენდაციაში იგულისხმება, სილაბუსში მიეთითოს სწავლის შედეგი.

საბჭოს მდივანმა, ნიკა თიკანაშვილმა განაცხადა, რომ საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილია კრედიტების განაწილება, რომელიც პრაქტიკულ ნაწილსაც მოიცავს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია ელექტრონული ინჟინერიის კუთხით. საბჭოს მდივანმა ყურადღება გაამახვილა საწარმოო პრაქტიკაზე, რომელიც სტუდენტმა ბოლო სემესტრში უნდა გაიაროს და რომელსაც დათმობილი აქვს 6 კრედიტი, მართალია ამ პროგრამას არ ჰყავს არც მოქმედი სტუდენტი და არც კურსდამთავრებული, მაგრამ ექსპერტებს თუ ჰქონდათ საშუალება გასაუბრებოდნენ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებს და სად იგეგმება პრაქტიკული კომპონენტის გავლა. რა მოლოდინებია აღნიშნულთან დაკავშირებით და რა მიმართულებით აპირებენ სტუდენტების განაწილებას სხვადასხვა პრაქტიკულ ობიექტებზე, ასევე რამდენად იქნება საკმარისი 6 კრედიტი, რადგან გასათვალისწინებელია, რომ ყველა სასწავლო კურსს მინიჭებული აქვს 6 კრედიტი და მათ შორის პრაქტიკულ კომპონენტსაც, რომელიც უფრო მეტ დროსა და შრომას მოითხოვს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოცემული პროგრამა ახალია და მის ფარგლებში განახორციელებენ პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ამ ეტაპზე გათვალისწინებულია როგორც არჩევითი საგანი. მომიჯნავე პროგრამის მიხედვით პრაქტიკამ აჩვენა, რომ სტუდენტთა უმრავლესობა დამამთავრებელ კურსზე თვითდასაქმებულია და ამ ეტაპზე პრაქტიკის კომპონენტის სავალდებულო ხასიათი არამიზანშეწონილად მიიჩნის. რადგან სტუდენტი, რომელიც დასაქმებულია იძენს შესაბამის უნარ-ჩვევებს, მოცემულ შემთხვევაში დაწესებულებამ შეიძლება ხელი შეუშალოს დასაქმებულ სტუდენტს. ხოლო სტუდენტებს, ვისაც სურვილი ექნებათ, რომ მიიღოს პრაქტიკა, დაწესებულება ამის საშუალებას მისცემს. ამ მიმართულებით დაწესებულება სტუდენტს არჩევანის საშუალებას აძლევს, ან გაიარონ პრაქტიკა უშუალოდ უნივერსიტეტში და შეასრულონ პროექტებს დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად, ან მემორანდუმის საფუძველზე წავლენ დაწესებულებაში/ორგანიზაციაში. მართალია ელექტრონიკის მიმართულებით დიდი საწარმოები საქართველოში არ არის, მაგრამ ყველა ორგანიზაციას სჭირდება ელექტრონული ინჟინერი. რაც შეეხება პრაქტიკის მოცულობას ეს არის 6 კრედიტი, რომელიც 150 საათს მოიაზრებს და ფიქრობენ, რომ ვინაიდან პროგრამის ფარგლებში ბევრი საინტერესო საგნის შეთავაზება შეუძლიათ, ეს არის ის მინიმუმი, რაც აუცილებლად უნდა შეასრულონ. პრაქტიკის კომპონენტს ასევე აძლიერებენ პროექტის არსებობით, რომელიც ჩასმულია, როგორც ძირითადი საგანი და მოიცავს 12 კრედიტს. პროექტიც არის პრაქტიკული კომპონენტი, სადაც სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მუშაობს კონკრეტულ თემატიკაზე მენტორების დახმარებით, აქ მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს განუსაზღვრონ პრობლემა, რომელიც აქტუალურია დღეს და განსაზღვრული პრობლემის აღმოფხვრა უნდა მოხდეს სტუდენტის ცოდნისა და უნარების დონეზე, რომელიც გადაწყვეტს გარკვეულ პრობლემას კონკრეტული ორგანიზაციისთვის, პროექტის დასრულების შემდეგ იგი წარადგენს პრაქტიკულ გადაწყვეტილებას.

საბჭოს წევრმა, რომეო გალდავამ განაცხადა, რომ პროგრამაში საკმაოდ ფართოდ არის წარდგენილი მათემატიკური კურსები, რაც მისასაღმებელია ინჟინერიის ამ მიმართულების სტუდენტებისთვის, დაწესებულებას მიზანში/შედეგში უწერია მათემატიკური აპარატის გამოყენება/ანალიზი და ა.შ. საკმაოდ მოცულობით არის ალგორითმებიც წარდგენილი და ხომ არ მიაჩნიათ, რომ კომპიუტინგის ელემენტები, გამოთვლითი მეთოდები უნდა იყოს ამ პროგრამაში, მისი აზრით წაადგებოდა პროგრამას, რადგან ინჟინერიაში მათემატიკა შესაძლებელია გამოუსადეგარი იყოს, მაგრამ გამოთვლითი/მიახლოებითი მეთოდები საჭიროა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეუძლიათ ზემოაღნიშნული კურსებიც გაითვალისწინონ, არჩევითი კურსების სახით, რადგან ამ სპეციალობაში ძალიან ბევრი მიმართულებაა, რომელიც შეიძლება განვითარდეს. განმარტა, რომ ალგორითმები პროგრამაში გაწერილია, როგორც ძირითადი საგანი, რადგან სტუდენტს განუვითარდეს ალგორითმული აზროვნების, პრობლემის გადაწყვეტის უნარი. გამოთვლითი მეთოდები შესაძლებელია პროგრამაში დაემატოს, რადგან დაწესებულება უტოვებს თავისუფალ კრედიტებს, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით საგნები აირჩიონ მომიჯნავე პროგრამებიდან წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

საბჭოს გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:29

დასრულების დრო: 18:31

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- საბჭო იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი ფორმულირებით:

1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უცხოეული სტუდენტებისთვის შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის No224/ნ ბრძანების მოთხოვნებთან. კერძოდ, სწავლის გაგრძელების მსურველი პირებისთვის პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით სავალდებულოა ჩატარდეს გასაუბრება ქართულ ენაში. ასევე, ზემოაღნიშნული ბრძანებით უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტებს და სტუდენტებს არ მოეთხოვებათ ბოლო ორი წლის განმავლობაში უცხო ქვეყანაში სწავლისა და ცხოვრების ფაქტის დადასტურება;
2. პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი საგნები - "სიგნალების დამუშავება" და "გამზომი ხელსაწყოები" დაემატოს პროგრამის ძირითად საგნებს;
3. მერვე სემესტრში დაემატოს არჩევითი საგანი "ელექტრონული სქემების დიზაინი";
4. შესწორდეს დაშვების წინაპირობა სასწავლო კურსში „ანალოგური ელექტრონიკა“;
5. სილაბუსებში მიეთითოს კონკრეტული ამოცანები და ლაბორატორიული სამუშაოები;
6. პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის გაძლიერდეს ლაბორატორიული ბაზა სტუდენტების რაოდენობის ზრდის შესაბამისად;
7. თვითშეფასების ჯგუფის შექმნისას გათვალისწინებული იქნას ჯგუფში სტუდენტების ჩართულობა.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

18:32 საათზე საბჭოს სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა - დიმიტრი გეგენავამ, გიორგი თურქიამ და ნინო დობორჯგინიძემ.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|----|--|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტირებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა | N241 13.12.2019 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ინტეგრირებული |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | ვეტერინარიის მაგისტრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 9 | სწავლების ენა | ქართული |
| 10 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 308 ETCS |
| 11 | განხორციელების ადგილი | რუსთაველის ქ. N122; უნივერსიტეტის II კორპუსი, ქ. ახალციხე, 0800, საქართველო |

| | | |
|----|---|---|
| 12 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |
|----|---|---|

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეთხე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

აკრედიტაციის ექსპერტი, ლევან ციციშვილი მიესალმა საბჭოსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ წარმოადგენს დასკვნას სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მის მიერ შეფასებულ იქნა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაციების და რჩევების შესრულებისთვის შერჩეული მეთოდები, მიდგომები და მიღებული შედეგები, რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები. შეფასებამ აჩვენა, რომ უნივერსიტეტის მიერ გაზიარებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რჩევები, ამასთანავე უნივერსიტეტის მიერ გაანალიზებულია და შესრულებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი შესასრულებელი რეკომენდაციები, რომლებიც დაკავშირებულია მეორე სტანდარტთან, სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.

ექსპერტმა განმარტა რეკომენდაციები, მათი შესრულების მექანიზმები:

რეკომენდაცია I - სხვადასხვა დისციპლინის სილაბუსებს შორის გამოვლინდა რამდენიმე გადაფარვა. მაგალითად, "ცხოველის ბიოლოგიის" კურსი მოიცავს ცხოველების (პირუტყვი, ცხვარი, კატა, ძაღლი, ფრინველი) და მათი ორგანოების ნორმალურ ფუნქციებს, რაც სინამდვილეში უნდა ისწავლებოდეს ფიზიოლოგიის კურსში. "ცხოველთა ბიოლოგია" არის გარკვეულწილად დამახინჯებული ტერმინი, რომელიც გამოიყენება ევროკავშირის ვეტერინარიის საბაკალავრო განათლების აღმწერ მარეგულირებელ აქტში, რაც გულისხმობს ცხოველების ეკოლოგიის, ზოოლოგიის საფუძვლებს (და მიკრო- ბიოლოგიას, თუ იგი არ ისწავლება სხვა დისციპლინებში). ცხოველთა ეკოლოგიის ძირითადი პრინციპები, პოპულაციის სიჭარბის დინამიკა, მისი რეგულირება და მეცხოველეობის სტრატეგიები, მეცხოველეთა თემებში

ინტრასპეციფიური და ინტერსპეციფიური ურთიერთობები, სახეობების დისპერსიული ფორმები და ცხოველების კონსერვაციის ეკოლოგიური მეთოდები ხშირად არის ამ კურსის მთავარი თემა. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ ცვლილებები განახორციელა სილაბუსებში, რომელიც სრულად მოვიდა შესაბამისობაში აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია სრულად იქნა გაზიარებული და შესრულებული;

რეკომენდაცია II - მიზანშეწონილია, მეტი ყურადღების დათმობა კერძო მეწარმეობის ძირითადი პრინციპების სწავლებისთვის (ე.ი. კომპანიის ჩამოყალიბების პრაქტიკულ ცოდნას, მართოს ვეტერინარული პრაქტიკა როგორც მეწარმემ, საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნები და ა.შ.). ეს შესაძლოა ისწავლებოდეს დამამთავრებელი წლის სტუდენტებისთვის, მცირე დამოუკიდებელი კურსის ფორმატში, სახელწოდებით "მენეჯმენტის პრაქტიკა". დაწესებულებამ აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმოადგინა მენეჯმენტის მიმართულებით განხორციელებული კურსების ჩამონათვალი, როგორც არის „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და მართვა“, „ვეტერინალური მომსახურების უზრუნველყოფა“, ასევე „ეკონომიკის საფუძვლები“, აღნიშნულ დისციპლინებთან ერთად პროგრამას დაემატა კურსი „მენეჯმენტის პრაქტიკა“ ცალკე საგნად, რომელიც 3 კრედიტიანია და არის არჩევითი ხასიათის. - აღნიშნული რეკომენდაცია სრულად იქნა გაზიარებული და შესრულებული;

რეკომენდაცია III - ახალ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად შეასრულოს ვეტერინარული პროფესიის დამწყები დონის დავალებები და მოვალეობები და საკმარისად იყოს თავდაჯერებული, რათა თავად განახორციელოს ვეტერინარული პრაქტიკა პირველადი სამედიცინო დახმარების დონეზე. მისი კლინიკური პრაქტიკული კომპეტენციის გაზრდისა და საუკეთესო ვეტერინარული პრაქტიკის დანერგვის მიზნით, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და გაცვლის პროგრამები აკადემიური პერსონალისათვის. აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა დარგობრივი პრაქტიკის 24 კრედიტიანი პროგრამა, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებები და მემორანდუმები. ექსპერტმა წარმოდგენილ პრაქტიკულ პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საკმაოდ ფართოა და მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტებს, სადაც გათვალისწინებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები. დაწესებულება იყენებს ERASMUS+-ის საერთაშორისო პროექტის ფარგლებში არსებულ შესაძლებლობებს, ახორციელებს გაცვლით პროგრამებს, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვისაც. სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის გასაუმჯობესებლად დაწესებულებას დადებული აქვს მემორანდუმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები. უნივერსიტეტს მემორანდუმები გაფორმებული აქვს ყარსის უნივერსიტეტთან, ტარტუს უნივერსიტეტთან და ა.შ. აქედან გამომდინარე, აღნიშნული რეკომენდაცია სრულად იქნა გაზიარებული და შესრულებული.

რეკომენდაცია IV - სიფრთხილით განიხილეთ ცოცხალი ცხოველების გამოყენება პრეკლინიკური მეცნიერებების სწავლებაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, სწავლებისა და მომზადების პროცესში, ცოცხალი ცხოველების გამოყენება არ არის რეგულირებული, ინვაზიური მეთოდები და მტკივნეული მანიპულაციები თავიდან უნდა აიცილოთ (მაგალითად, პათოფიზიოლოგიის პრაქტიკაში). უნივერსიტეტს აქვს შესანიშნავი IT საშუალებები (მათ შორის კომპიუტერებით აღჭურვილი სალექციო აუდიტორიები), ამიტომ უნდა შეიმუშავდეს სწავლებისა და სწავლის ალტერნატიული მეთოდები. მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას გააზრებული აქვს ცხოველებთან მიმართებით ლაბორატორიული კვლევების საკითხი და მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „პათოლოგიური ფიზიოლოგიის სილაბუსი“, სადაც სრულად არის გათვალისწინებული ლაბორატორიული ცხოველების ჩანაცვლება სხვა მეთოდით, შემცირება და დახვეწა. ასევე

მაქსიმალურად არის გამოყენებული IT ტექნოლოგიები, რომელიც დაწესებულებას კარგად აქვს გამართული. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია სრულად იქნა გაზიარებული და შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ლევან მაკარიძემ საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აკრედიტაციის მიღების შემდეგ, ფიქრობდნენ თუ რა სახით იყო შესაძლებელი საერთაშორისო ასპარეზზე წარმოეჩინათ პროგრამის განხორციელების დაწყება. როგორც ცნობილია, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი საქართველოში ახორციელებს ძალიან მნიშვნელოვან ინვესტიციას უვნებელ სურსათსა და მეცხოველეობაში, პროგრამის წარმომადგენლები შეხვდნენ ამ პროექტის განმახორციელებლებს და პროექტის ტექნიკურ დირექტორს. შეხვედრის მიზანი იყო თუ როგორ შეიძლებოდა ჩართულიყო უნივერსიტეტი ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში ან რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო ურთიერთანამშრომლობის კუთხით, მიჩიგანის უნივერსიტეტმა გამოთქვა პროექტში მონაწილეობის სურვილი, დაწესებულებამ გადააგზავნა კურიკულუმი მიჩიგანში და ელოდებიან საქართველოში მის წარმომადგენელს საქმიანი შეხვედრისათვის. ამ პროექტის ფარგლებში გამოსცეს საინფორმაციო ცნობარი, რომელიც ეხება ახალ საგანმანათლებლო პროგრამას და რის მიხედვითაც დაინტერესებულ პირებს მარტივად მიიღებენ ინფორმაცია პროგრამის შესახებ. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შეხვედრა დაგეგმილი იყო მარტში, თუმცა COVID-19-ის გამო ვერ განხორციელდა. მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, რათა მათ მისცეს შესაძლებლობა, რომ განეხორციელებინათ ასეთი მნიშვნელოვანი პროექტი სახელმწიფო უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსმა, ნინო მილაშვილმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, რომლებიც ქმნიან კოლეგიალურ გარემოს და მიიჩნევენ, რომ ექსპერტების შეფასება და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება ცალსახად უნდა იყოს გათვალისწინებული, რადგან ეს ყოველივე ორიენტირებულია თითოეული პროგრამის წარმატებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 19:03

დასრულების დრო: 19:04

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:


მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0


გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა

